

ქ. თბილისი

„18 „*მარტი*“ 2010 წ.

მ ე მ ო რ ა ნ დ უ მ ი

გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტის და რაფიელ აგლაძის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის

თანამშრომლობის შესახებ

გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტი, წარმოდგენილი დირექტორის ნიკოლოზ ჩიხრაძის სახით, რაფიელ აგლაძის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის, წარმოდგენილი დირექტორის ბრიგოლ ტატიშვილის სახით - შემდგომში „მხარეები“, ისწრაფვიან რა ურთიერთობების განვითარებისა და განმტკიცებისაკენ, იღებენ რა მხედველობაში სამეცნიერო თანამშრომლობაში დაინტერესებას, აცნობიერებენ რა მასალათმცოდნეობის, მყარი სხეულების ფიზიკისა და აფეთქების ფიზიკის მიმართულებებით ქართული სამეცნიერო სკოლების ტრადიციებსა და მიღწევებს, ახალი მაღალტექნოლოგიური მასალების მიღების მიმართულებით მსოფლიოში არსებულ გამოწვევებს და ამ მიმართულებით ინსტიტუტების მჭიდრო თანამშრომლობის მნიშვნელობასა და აუცილებლობას, თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი 1

მხარეები წაახალისებენ აფეთქების ფიზიკის, ბირთვული ფიზიკის, რადიაციული ქიმიის, ქიმიური ფიზიკის, თერმოდინამიკის, არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის მიმართულებებით კვლევების სფეროებში ურთიერთობათა განვითარებას და განახორციელებენ თანამშრომლობას საერთო ინტერესების გათვალისწინებით.



მუხლი 2

მხარეები ყოველმხრივ შეუწყობენ ხელს თანასწორუფლებიანი თანამშრომლობის განვითარებას მაღალტექნოლოგიური მასალების მიღების, კვლევისა და გამოყენების მიმართულებით და განახორციელებენ შემდეგ ღონისძიებებს:

- ერთობლივი სამეცნიერო და ტექნოლოგიური პროექტების მომზადებას;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზების, ექსპერიმენტული და გამზომი აპარატურის ერთობლივი გამოყენებას;
- სახელმწიფო პროგრამებში ერთობლივ მონაწილეობას;
- საერთაშორისო პროგრამებში ორმხმრივ და მრავალმხრივ მონაწილეობას;
- ყოველმხრივ შეუწყობენ ხელს ახალგაზრდა კადრების მომზადებას და მათ პროფესიულ ზრდას;
- თანამშრომელთა ნაშრომების პოპულარიზაციას საკუთარ და პარტნიორ ინსტიტუტებსა და უნივერსიტეტებში;
- მეცნიერ-თანამშრომელთა გაცვლით საჯარო მოხსენებებს;
- მოთხოვნილების შესაბამისად აუდიტორიების, სალექციო და საკონფერენციო დარბაზების გამოყოფას;
- საბიბლიოთეკო ფონდებით თავისუფლად სარგებლობის უზრუნველყოფას მხარეების თანამშრომლებისათვის;
- ერთობლივ სამეცნიერო ურთიერთობების დამყარებას მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებთან და კვლევით ცენტრებთან საერთო კვლევისა და სამეცნიერო პროექტების შესასრულებლად;
- ერთობლივი სადოქტორო და სამაგისტრო პროგრამების მომზადებას, წარდგენას უნივერსიტეტებში და ზრუნვას მათი განხორციელებისათვის;

მუხლი 3

წინამდებარე მემორანდუმის შესრულებასა და განმარტებასთან დაკავშირებული სადავო საკითხები გადაიჭრება კონსულტაციებისა და მოლაპარაკებების გზით.

მუხლი 4

წინამდებარე მემორანდუმში მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე შეიძლება შეტანილ იქნას ცვლილებები და დამატებები.

მუხლი 5

ეს მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს რომელიმე მხარის მიერ რაიმე სხვა გადაწყვეტილების მიღებამდე.

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი შედგენილია ქალაქ თბილისში 2010 წლის 18 მარტს ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე სამ ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

ხელმოწერები:

გ.წულუკიძის სამთო ინსტიტუტის
დირექტორი



ნ.ჩიხრაძე

რ.აგლაძის არაორგანული ქიმიისა და
ელექტროქიმიის ინსტიტუტის
დირექტორი, დოქტორი



გ.ტატიშვილი